ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

32 (10019) • 5 agvisto • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„ეკონომიკაში არის ორი მცნება: ყიდვა ჯობია თუ ქირავნობა...“

გაზეთი „ალიონი“

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე 40 წუთით ადრე შეგვატყობინეს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა იმართებაო. სხდომას 26 დეპუტატი ესწრებოდა.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.“ საკითხი **ამირან გირკელიძემ** წარმოადგინა.

რას ითვალისწინებს 2 აგვისტოს ცვლილება?

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ავეჯის შესყიდვის ხარჯი შემცირდეს 150 ლარით და აღნიშნული თანხით შეძენილი იქნეს მობილური ტელეფონი;

მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ხარჯი შემცირდეს 190 ლარით და აღნიშნული თანხით გაიზარდოს საოფისე ტექნიკის რემონტის ხარჯი;

სკუტერების ძრავის რემონტისათვის გამოიყოს 200 ლარი;

სამშენებლო მასალების შესაძენად შეტანილი იქნას 500 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტი:

გეგმაში „სოფლის პროექტების“ ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვის ღირებულება დაზუსტდეს და გაინისაზღვროს 20 765 ლარით;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება გაიზარდოს 1 187 230 ლარით; (1 მილ. ლარი დაემატა თხინვალის გზის ასფალტირებისათვის);

გეგმაში საბავშვო ბაღების შენობების კაპიტალური რემონტისათვის შეტანილი იქნება 818 930 ლარი;

გეგმაში შეტანილი იქნება გრეიდერის შესყიდვა, სავარაუდო ღირებულება 220 000 ლარი.

გეგმიდან ამოღებულია: ხე-ტყის შესყიდვის ხარჯი 5 000 ლარი; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები –1 500 ლარი;

შემცირდეს: საწვავის ხარჯი 7 245 ლარით; სამშენებლო მასალების შესყიდვის ხარჯი –10 000 ლარით; შენობების შეკეთების სამუშაოები –2 177 ლარით;

გაიზარდოს: სახურავების შეკეთების ხარჯი – 23 745 ლარით; ხე-ტყის დამუშავების ხარჯი –2 177 ლარით.

დეპუტატმა **დიმიტრი კვერღელიძემ** თავისი კრიტიკული ხედვა გამოხატა გრეიდერის შესყიდვასთან დაკავშირებით.

– ოზურგეთში კოლექტივიზაციას ვაკეთებთ, თუ საბჭოთა კავშირი უნდა აღვადგინოთ?... ეს არის მოთხოვნა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააკეთა. მე ბევრი რამ მაინტერესებს და ბევრი რამ მაწუხებს –როცა მუნიციპალიტეტის ხელისუფლება თავს აძლევს უფლებას 200 000 ლარი გრეიდერზე იქნეს გახარჯული, ეს ჩვენი ბიუჯეტისათვის ძალიან დიდი თანხაა. რამდენად სამართლიანად, რამდენად ეფექტურად არის განაწილებული?....ეს არის ფარული დაფინანსება იმ კომპანიების, რომლებმაც შემდგომში უნდა გააკეთონ საგზაო სამუშაოები, რომ შემდეგ უფრო მეტი სარგებელი გაუჩნდეს.... მე მინდა, რომ ეფექტურად მოხდეს ყველაფერი და არ ეგონოს ვინმეს, კარგ საქმეს ვეწინააღმდეგები. მაშინ ადგეს გამგეობა, ხან სასადილო გააკეთოს, ხან მაღაზია და ეს 10 მილიონიანი ბიუჯეტი ბიზნესებში გამოიყენოს. ეს წერილი და ეს გრეიდერი არც საკრებულოს და არს ხალხის მოთხოვნაა. ამ საქმით დავინტერესდები და უფრო დეტალურად შევისწავლი–თქვა კვერღელიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძემ** უპასუხა:–ერთი დღით გრეიდერის დაქირავება 550 ლარი ღირს. ახლა გრეიდერი რომ შევიძინოთ, ბატონო დიმა, რა სამუშაო უნდა შეასრულოს? მის შემდეგ დაგეგმილია, რომ თვითმცლელს შევიძენთ და ყველა სოფლის შიდა გზას ჩვენი ხარჯით გავარემონტებთ. წარმოიდგინეთ, რამდენ საქმეს გავაკეთებთ. დეკემბრამდე თქვენ კარგად დაინახავთ, რამდენი გზა იქნება ამ გრეიდერით გაკეთებული...

დეპუტატმა **ხვიჩა კილაძემ** განაცხადა: –სილაურში გზა გაუვალია. ტექნიკა არ აქვს ოზურგეთს, რომ ამ გზის პრობლემა მოგვარდეს. გრეიდერი როცა გვეყოლება, სარეზერვო ფონდიდან 20 ლიტრ ბენზინს ჩავუსხამთ და ერთი პრობლემა მოგვარდება.

დიმიტრი კვერღელიძე:–ეკონომიკაში არის ორი მცნება: ყიდვა ჯობია თუ ქირავნობა. მე გეუბნებით, იმ ფონზე, რაც ჩვენს ბიუჯეტს საშუალება არ აქვს, ამხელა ინვეს-

▶▶▶ გვ-2

კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის საარჩევნო შტაბს დავით დარჩია უხელმძღვანელებს

როგორც გაზეთ „ალიონს“ სანდო წყარომ აცნობა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის საარჩევნო შტაბს „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია უხელმძღვანელებს. მისი დანიშვნა, სავარაუდოდ, 9 აგვისტოს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდება.

„ალიონი“ შეეცადა ინფორმაციის თავად დავით დარჩიასთან გადამოწმებას, მაგრამ მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

ხმაურიანი საქველმოქმედო აქცია

ნინო ნიკოლაიშვილი

3 ივნისს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვს“ გურიაში ჩამოვიდა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 12 პირს ეტლები გადასცა. საქველმოქმედო აქციაში ასევე შედიოდა 6 მრავალშვილიანი ოჯახისთვის ბავშვთა კვების პროდუქტისა და საბავშვო სახლის ბენეფიციართათვის საჩუქრების გადაცემა.

ასოციაციის თავმჯდომარის მაია კვეზერელის თქმით, ასოციაცია 20 წელია ფუნქციონირებს და არაერთი საქველმოქმედო აცქია ჩაუტარებიათ.

მაია კვეზერელი: ჩვენ ვეხმარებით ობოლ, მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებს, მრავალშვილიან ოჯახებს. ამერიკელ მეგობრებთან ერთად ბოლო სამი წელის ეტლებს ვარიგებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან დავარიგეთ. როცა მიმდინარე წლის მარტის თვეში დავით დარჩია დაგვიკავშირდა და გვთხოვა გურიასაც დავხმარებდით, ვუთხარი, რომ ამისი საჭიროება არ იყო,რადგან შარშან გაზაფხულზე ჩვენ დავუკავშირდით გურიის სოციალურ საგენტოს და შევთავაზეთ ეტლები ჩამოგვეტანა, თუმცა მათ უარი გვითხრეს,ჩვენთან ეტლებით ყველა დაკმაყოფილებულიაო.

უმძიმესი სიტუაცია დაგვხვდა ჩოხატაურში, ბატონმა დავით შარაშიძემ, საკმაოდ გრძელი სია გვაჩვენა ეტლების საჭიროებისა. თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ორი ეტლი ჩავიტანეთ იქ , ერთი ლანჩხუთში.

კითხვაზე, რამდენად გამართლებულია ასეთი ქმედება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, ქმა მაიამ გვიპასუხა: – კიდევ გიმეორებთ, ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ პარტიას. საქველმოქმედო აქციებს ჩვენ 20 წელია ვატარებთ. წინა ხელისუფლების დროს უარი გვითხრეს იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია ნანული შევარდნაძის მიერ გახლდათ დაფუძნებული. ამიტომ დავუკავშირდით ქართულ ოცნებას, რადგან მათ ვენდობით, თანაც დავით დარჩია ჩვენი მეგობარია. როგორც გითხარით ამ აქციისთვის მუშაობა 18 მარტიდან დავიწყეთ, როცა მოხერხდა შესაბამისი ზომების ეტლების დამზადება, მაშინ ჩამოვიტანეთ. აქ არჩევნები არაფერ შუაშია.

„ალიონთან“ საუბარში მაია კვეზერელმა განაცხადა,რომ აქცია არ არის მხოლოდ ერთჯერადი და ის არჩევნების შემდგომაც გაგრძელდება: ამ ადამიანებს მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება და რა ვქნათ, არჩევნებს ველოდოთ?

დავით დარჩია: – არაერთმა ადამიანმა მოგვმართა თხოვნით, რომელთაც ეტლები ესაჭიროებოდა. მაია კვეზერელი ჩემი მეგობარია, ვიცოდი მათი ორგანიზაცია მსგავს აქციებს ატარებდა. მარტის თვეში მივმართე მას თხოვნით,ძირითადი სიები სოციალური საგენტოდან გამოვითხოვე. მხოლოდ ახლა მოახერხეს ჩამოსვლა.

აღნიშნულ საუბარს სოციალური საგენტოს უფროსი **სოსო მგელაძე** ესწრებოდა, მან დაადასტურა შემდგარი სატელეფონო საუბარი, განმარტა, რომ სახელმწიფო პროგრამით ეტლები გადაეცემათ მხოლოდ შესაბამისი ჯგუფის მატარებელთ და მაშინ შესული განცხადებიდან ყველა ჰყავდათ დაკმაყოფილებული.

თუმცა რეალური სურათი სხვას აჩვენებს და აღნიშნული დახმარების მიუხედავად დახმარებას კვლავ არაერთი ადამიანი ელოდება.

ერთ-ერთი მოზარდის დედის თქმით, არაერთი თხოვნის მიუხედავად 14 წლის განმავლობაში არავის გახსენებია მათი ოჯახის გასაჭირი: – 14 წლის არის ჩემი შვილი, უმძიმეს მდგომარეობაში, მეუღლე ავადმყოფია. არც ერთ ხელისუფლებას არ გავხსენებივართ, არავინ დაგვხმარებია. ამ ადამიანებთან მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

7 დღის ამინდის პროგნოზი

5 აგვისტო	6 აგვისტო	7 აგვისტო	8 აგვისტო	9 აგვისტო	10 აგვისტო	4 აგვისტო
წვიმა +15+23	წვიმა +14+23	მზე, ღრუბელი +16+25	მზე ღრუბელი +16+26	წვიმა +18+26	მზე, ღრუბელი +16+24	წვიმა +16+22
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ეკონომიკაში არის ორი მცნება: ყიდვა ჯობია თუ ქირავნობა...“



სტიციის გაწევა ახლა არის მიზანშეუწონელი. ის, რომ გრეიდერი უნდა გვყავდეს, ეს სრულებით არ არის ცუდი, მაგრამ იმას ვამბობ, ამ თანხას როდის ამოვიღებთ?!

თემურ ჯახვა, შპს „გზამშენი 18“ უფროსი: –მე მყავს ორი გამართული გრეიდერი. ზამთრის პერიოდში ოზურგეთში არის პრობლემა და ეს გრეიდერები არ გვყოფნის. გრეიდერმა ზამთარში ერთი ან ორი თვე რომ იმუშაოს, მარტო მაგისთვის ღირს მისი ყიდვა...

დიმიტრი კვერღელიძე: –თქვენ ჩემს მთავარ სათქმელს ვერ იგებთ. ბიუჯეტი იზომება ერთი წლის ვადით... ერთი წუთით, არ მინდა რაღაცაები ვთქვა, დემაგოგიას და კომპენტენტურობას ნუ აურევთ, ძალიან გთხოვთ, რა...

ჯერ კიდევ მანამდე დაწყებული კითხვა პასუხები კვერღელიძესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ავთანდილ მექვაბიშვილს** შორის დაიძაბა:

–დემაგოგია ის არის, რომ გრეიდერის ყიდვა გვინდა? ბატონო დიმა, თქვენ ნუ არეგულირებთ საკრებულოზე ქცევის წესებს. თქვენ არ გეკითხებათ ის, რას ვიტყვი მე საკრებულოს სხდომაზე...

დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ** ასე გამოხატა დიმიტრი კვერღელიძისადმი მხარდაჭერა:– სიმართლის გაგონება არავის უნდა. შეესივნენ დიმიტრი კვერღელიძეს. დეპუტატებს ახლა გაახსენდათ, რომ მათ სოფელში გზა არ არის? სად იყვნენ მანამდე? ეს ყველაფერი კეთდება ერთი კაცის დაკრულზე –გამგებელს უნდა გრეიდერი.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, დეპუტატმა **მიხეილ გოგოტიშვილმა** საარჩევნო რეჟიმში ყოფნისას ბიუჯეტში ცვლილებები უარყოფითად შეაფასა...

საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძემ** კომპანია „ვანგრიკის“ შესახებ ისაუბრა. აღნიშნულ კომპანიას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შავი და ლურჯი მოცვის პლანტაციები აქვს გაშენებული. სურგულაძის თქმით, აღნიშნული ფირმა მოცვის ახალი ფართობების გაშენებას გეგმავს და ჩაის წარმოების დაწყებასაც აპირებს.

გამგებელმა სარეაბილიტაციო ცენტრი მოინახულა

ნინო ნიკოლაიშვილი

კურორტ ურეკში მდებარე კომფორტულად მოწყობილი შენობა, რომელიც ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის კუთვნილებაა, იაპონიის საელჩოს დაფინანსებით გაკეთდა და ერთდროულად 50-მდე დამსვენებელს მოემსახურება.

ამჟამად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ზღვისპირა კურორტზე 17 ბენეფიციარი და 3 მშობელი იმყოფება. აქ ასევე იმყოფება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორი დამსვენებელი სომხეთიდან და ვლადიკავკაზიდან. მათ მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიშე, და გამგებლის მოადგილე ირაკლი სირაძე ესტუმრნენ.

ცენტრის თავმჯდომარე რომან ლომაძემ მადლობა გადაუხადა გამგებელს ზღვაზე გასასვლელი ბილიკის მოწყობის გამო და დახმარება სთხოვა გარე განათების მოგვარებაში.

კონსტანტინე შარაშენიძე: – ჩვენ თავიდანვე ვთანამშრომლობდით ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქობე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრთან. ამ ადამიანებს მართლაც ესაჭიროებათ თანადგომა და შესაძლებლობების ფარგლებში ვეხმარებით მათ. ამ ეტაპისთვის მათი თხოვნის შესაბამისად გავუკეთებთ გარე განათებას, შევუძენთ საზღვაო ქოლგებს.

ამომრჩეველმა ქალებმა მუშაობის შედეგები შეაჯამეს

მარი კოკოევი

კულტურულ ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბმა შემაჯამებელი შეხვედრა პირველ აგვისტოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართა. შეხვედრას ფონდის წარმომადგენლები ემა კანკია და მანანა ლეშკაშელი ესწრებოდნენ. ისაუბრეს ბოლო ერთი წლის აქტივობებზე, გაკეთებულ საქმეებზე. კლუბის აქტივობებში ქველმოქმედებაც შევიდა, რომლის განხორციელებაც სოფელ ოზურგეთის დეპუტატის, ბიზნესმენის გია ხუჭუას დახმარებით შეძლეს. ქველმოქმედის დახმარებით მედიკამენტებისთვის საჭირო თანხა გადაეცა ერთ-ერთ ოზურგეთელს, რომლის ოჯახიც შეჭირვებულთა რიცხვს ეკუთვნის. გაწეული დახმარებითვის ბიზნესმენს მადლობის ბარათი გაუგზავნეს.

საანგარიშო შეხვედაზე გაიხსენეს სოფელ ხურჩაში გამართული სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი სამზარეულოს გამოფენა. საზღვისპირა სოფელში გამართულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო აფხაზური და ოსური კერძებიც. კლუბის წევრები ფიქრობენ, რომ მსგავსი ღონისძიებები ერთმანეთთან დაახლოების საუკეთესო საშუალებაა.

შეხვედრას კლუბის ახალი წევრიც დაეწრო, ამიერიდან კლუბში აქტიურ მუშაობას იწყებს თამარ დუმბაძე.

***

კულტურულ ჰუმანიტარული ფონდ სოხუმის ოზურგეთის სათემო კლუბ „ექადიის“ შეხვედრაზე წინა ხმაურიანი შეხვედრის შედეგებზე ისაუბრა კლუბის მოდერატორმა ქეთევან ქადიეშვილმა.

შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის, რომელზედაც წყლის პრობლემებზე იყო საუბარი, გარკვეულწილად შედეგებით დასრულდა და მოსახლეობაც კმაყოფილებას გამოთქვამს, თუმცა მათი თქმით, კვლავ საყურადღებოა სასმელი წყლის ხარისხი, რომელიც არა მხოლოდ მათი, მთელი მუნიციპალიტეტის პრობლემაა

თეატრალური სეზონის დახურვა

31 ივლისს, მესხეთის თეატრში წარმატებული გასტროლების შემდეგ, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა 145-ე სეზონი დახურეს შალვა რადიანის სცენარის მიხედვით შექმნილი სპექტაკლით –„გუშინდელნი.“ რეჟისორი აწ. გარდაცვლილი შოთა ბაბილოძე.

თეატრის მმართველის, ზაზა ჯინჭარაძის თქმით, 6 წლის წინ დადგმული სპექტაკლი აღადგინეს და ის მათი მეგობრის, შოთა ბაბილოძის ხსოვნას მიუძღვნეს.

ხვატარი

ნუგზარ ოთარიშვილი

წელს ბევრი საყანე ფართობი დაითესა. დაითესა ისეთი ფართობებიც, რომლებზეც დიდი ხანია ხნული არ გავლილა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მიწის რეფორმით მოსახლეობას მიწის ნაკვეთები დაურიგდათ, ასევე ბევრი ფართობი ითესებოდა. 1992-94 წლებში, როდესაც სამოქალაქო და სხვა ომებში ვიყავით ჩართულნი და ბევრ ოჯახს პური სანატრელი ჰქონდა, დიდი თუ პატარა სიმინდით იკვებებოდა. იყო ნადი თოხში თუ მოსავლის აღებისას. ტრანსპორტი ჭირდა და ოზურგეთიდან ფეხით უხდებოდათ 10-18 კმ მანძილის გავლა. რაც მთავარია ადამიანები ერთმანეთს ედგნენ გვერდით.

გავიდა არც თუ ისე ბევრი დრო. რაღაც გაუმჯობესდა, რაღაც გაუარესდა. ამ „ნადის“ მოთავე თაობის უმეტესობა ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად. ახალგაზრდებმა ნაკლებად გააგრძელეს ტრადიციები. შემოსავლის ახალი წყაროები გაჩნდა (ვაჭრობა, თურქეთში მუშაობა) და უმეტესობამ ხელი აიღო სიმინდის კულტურის მოყვანაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, სოფელებშიც კი არიან ოჯახები, რომლებიც სიმინდს აღარ თესავენ.

შვიდი წელია სპოტიეთში (სოფ. მერიის მიმდებარე, მდ. ნატანებს გაღმა), ჩემს ფართობში მეც არ ჩავსულვარ. ისინი კი, ვინ თესავდნენ, საყანე ფართობებს ეკომიგრანტებს და სხვა დაქირავებულ ადამიანებს ამუშავებინებდნენ და ასე მოჰყავდათ მოსავალი.

წელს ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივამ მიწის ბევრი მფლობელი დააბრუნა საყანე ფართობში. მეც აღმოვჩნდი მათ რიგებში. სხვადასხვა მიზეზით, დამიგვიანდა ფართობის დამუშავება და სიმინდის ნათესს, მდელოს ხვატარი შეესია. ჯერ ბოხვაურლებს ესტუმრა, შემდეგ ექადიელთა ფართობებში გადმოინაცვლა.

– მექანიკური ხელის აპარატით ძნელია შეწამვლა, მაგრამ უფრო ეფექტური კია –მირჩია ერთმა სპეციალისტმა და მის აზრს „დავემორჩილე“.

შაბათს ავიკიდე შესაწამლი აპარატი და გზას გავუდექი.

–ბურჯანაძე ავჯობებს თუ

გვ-3

ტაქსი გამოძახებით – ურეკი 20 ლარად!



დარეკეთ: 0590 55 44 55; 27 55 44

„ჟურნალისტები გაიყვანეთ...“

ნუგზარ ასათიანი

„გომისმთობა,“ იგივე „შუამთობა“ აჭარა-გურიის რეგიონის ერთ-ერთი ლამაზი დღესასწაულია. იგი ყოველწლიურად აგვისტოს პირველ დეკადაში იმართება და კურორტზე თავს იყრიან არა მარტო დამსვენებლები და მწყემსების ოჯახები, არამედ სტუმრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. მაგრამ „გომისმთობის“ მთავარი ხიბლი საქართველოს ორი ლამაზი კუთხის გურიისა და აჭარის მცხოვრებლების შეხვედრაა, სპორტული ჟინის გამოვლენაა ცხენოსნობაში, ფეხბურთში და სპორტის სხვა სახეობებში.

გომისმთაზე ადრე 2000-მდე ფიცრული სახლი იდგა და სეზონზე 10 000-მდე დამსვენებელი იყრიდა თავს. გაზეთი „ალიონი“ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული წერდა გომისმთის პრობლემებზე და პერსპექტივებზე. 1990-91 წლებში იმჟამინდელმა „საქენერგომ“ 35-კილოვატიანი მაღალი ძაბვის ხაზი გაიყვანა (რენო ურუშაძე, გურამ ბურჭულაძე) და მომდევნო წელს ქსელში უნდა ჩაერთო, მაგრამ... მომდევნო წლების მოვლენებმა მაღალი ძაბვის ბოძები ელექტროხაზების გარეშე დატოვა. 1994-2000 წლებში გომისმთაზე მხოლოდ რამდენიმე დამსვენებლის ოჯახი და მწყემსები დადიოდა. იმ წლებში, გაზეთი „ალიონი,“ მეგობრებთან („გურიის მთები,“ „ქორბუდე“) ყოველწლიურად ახერხებდა გომისმთაზე ასვლას და არსებულ პრობლემებზე სტატიების მომზადებას.

XXI საუკუნის დასაწყისიდან გომისმთაზე სიტუაცია შეიცვალა. დამსვენებელთა რიცხვმა კვლავ იმატა. შემოქმედლები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ ტერიტორიულ ერთეულს.

2011 წლის აგვისტოს ბოლოს გურიას ცნობილი მეცნიერი-ბიოლოგი, ბიოგეოგრაფი, ბუნების დიდი ქომაგი, მოგზაური, ფოტოჟურნალისტი და პუბლიცისტი, მრავალი დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, უცხოეთის არაერთი პრესტიჟული საზოგადოების წევრი, პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი რამდენიმე დღით სტუმრობდა მშობლიურ კუთხეს. იგი მორიგ წიგნს ამზადებდა გამოსაცემად, სადაც გურიას ღირსეული ადგილი დაეთმობა. მან, თსუ მაგისტრანტებთან და ამ სტრიქონების ავტორთან ერთად გურიის მთისა და ბარის მნიშვნელოვანი ადგილები მოინახულა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული დარჩა კურორტ გომისმთის ნახვით, სადაც შემოქმედლებმა (კურორტის დირექცია, აიპი „გომისმთა“) და მწყემსებმა განსაკუთრებული პატივისცემით მიიღეს. გომისმთას ხომ მისი ტრადიცია ჰქონდა და აქვს...

შარშან, „გომისმთობა“ საარჩევნო ციებ-ცხელებას დაემთხვა, და ნაციონალურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ეს ღონისძიება მმართველი პარტიის პიარისთვის მიეძღვნათ. გომისმთობას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რამაზ ნიკოლაიშვილი, ეპარქიის უმაღლესი სასულიერო პირი, მეუფე იოსები, გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი ესწრებოდნენ.

„გომისმთობის“ წინა დღეებში რედაქციები გააფრთხილეს, ადგილობრივი მედიიდან, მხოლოდ თითო წარმომადგენელი ყოფილიყო.

მხატვრული კოლექტივების გამოსვლები, შეჯიბრებები ფეხბურთში, მკლავჭიდში, დოღში... დრო ნელ-ნელა მიიპარებოდა. წინა წელთან შედარებით, მიუხედავად ზეიმისა, რაღაც ჩუმი დაძაბულობა იგრძნობოდა. ამას განსაკუთრებით ჟურნალისტების ერთი ნაწილი ვგრძნობდით სურათების გადაღებისას, კითხვების დასმისას.

გომისმთაზე ჩვენი დიდი მეგობრის, აწ გარდაცვლილი თენგიზ ბერიშვილის ვაჟი –ვახო ამოვიდა თავისი „ვილისით.“ „ბერიშვილების კარავზე“ ჩქარობდა წასვლას, სადაც ყოველწლიურად ეფერება თავისი წინაპრების ნაკვალევს. მამისეული ღიმილი დაგვიტოვა და გზა გააგრძელა...

შუადღე დადგა. ჩვენმა კოლეგამ ლენა ქადეიშვილმა მოხარშულ სიმინდზე დაგვპატიჟა...

მთაში დიდი ხანია დავდივარ. ჩემს მეგობრებთან ერთად არაერთ ექსპედიციაში მიმიღია მონაწილეობა კავკასიონზე, სხვა ადგილებში. ყოველთვის ვემზადებოდით მთაში წასასვლელად, აუცილებელი ნივთები, საკვები ყოველთვის მიგვქონდა... მივხვდი, რაღაც შეცდომა დავუშვით...

ნაშუადღევს დაიწყო გახმობები და რაღაც საუბრები. გომისმთის სტუმრები, თითო-ოროლა, სადღაც ნისლში „იკარგებოდნენ.“ გავიგონე ერთი მაღალჩინოსნის გადალაპარაკება მეორესადმი –„ჟურნალისტები გაიყვანეთ.....“

მალე ჩვენთან „მეგზური“ მოვიდა და გვითხრა: –მძღოლს ეჩქარება და ბარში უნდა დაბრუნდეთო... უსიტყვოდ ჩავსხედით და დავეშვით ბარისკენ...

გზაში გავიგეთ სტუმრების გაუჩინარების მიზეზი: –კურორტის უფრო დაფარულ ადგილას, დიდი „სეფა“ გაეშალათ და იქ წასულიყვნენ...

ბჟუჟესამდე კარგა მანძილი გვქონდა გასავლელი. მეუფის ჯიპი დაგვეწია. მეუფე იოსებმა მანქანიდან დაგვლოცა, ჩვენს „მარშუტკას“ გაუსწრო და მოსახვევში თვალს მიეფარა.

ბჟუჟესის ქვემოთ, მდინარე კალუას ხიდთან ცუდი ამბავი დაგვხვდა. გომისმთიდან მომავალი ერთ-ერთი სტუმრის მსუბუქი ავტომობილი მოსახვევში ამოტრიალებულიყო და მძღოლი დაღუპულიყო... შეწუხებულები ვიდექით დამტვრეულ ავტომანქანასთან, შეწუხებული იცავდნენ ავარიის ადგილს პოლიციელები... გომისმთის მხარიდან აღარავინ არ მოდიოდა....

...გომისმთაზე წინასაარჩევნო პურმარილი, მუსიკალური კოლექტივების თანხლებით შუაღამემდე გაგრძელებულა.

ხვატარი

მარგველაშვილი?–შემეკითხა დანახვისთანავე ყანის დარაჯი ბეჟანა.

–პოლიტიკაზე შემდეგ ვისაუბროთ, ახლა წყლის მოზიდვაში დამეხმარე– ვთხოვე.

–ხვატარს კი შეწამლავ, სხვა ხვატარს თუ მოვერიეთ– გააგრძელა დიალოგი.

(რომელიმე პოლიტიკური ძალის წინასაარჩევო დისკრედიტაციაში რომ არ ჩამეთვალოს, ამ დიალოგის გადმოცემას აღარ გავაგრძელებ...)

– გასულ თვეში ორი ცხენი მოგვპარეს – ისევ დაიწყო ბეჟანამ...

თითქმის მთელი დღის განმავლობაში დავყავი ფართობში. მდელოს ხვატარს მნიშვნელოვნად დაეზიანებინა მცენარეები. მეზობლებს უფრო ადრე მიეღოთ ზომები მავნებლის წინააღმდეგ და მათი ფართობები კარგად გამოიყურებოდნენ.

სიმინდი რიგებში ისე იყო დათესილი, რატომღაც ყველა მეექვსე რიგი გაწბილებული იყო.

–ალბათ მაგ მექანიზატორებს ხუთიანები უყვართ– იხუმბრა ბეჟანამ.

–არა ბეჟანა, ეტყობა სათესი აპარატი ჰქონდათ დაზიანებული და ერთ-ერთი სათესი ბლოკი არ მუშაობდა– ჩემი „ცოდნა“ გამოვამჟღავნე.

–აბა გადაიანგარიშე, 17 ჰექტარზე რამდენი ზარალი იქნება...ისე, ხომაა სამსახურები, კაცმა ამხელა სიკეთე გააკეთა (ბიძინა ივანიშვილი იგულისხმა) და ამ სპეციალისტებს დროზე აეტეხათ განგაში:–ხალხნო ხვატარს მიხედეთო! რამდენი ფართობია განადგურების საფრთხის ქვეშ...

შემოდგომამდე ცოტა დრო დარჩა. ოქტომბერის ბოლოს მეპატრონეები, კვლავ ჩავლენ თავიანთ ფართობებში. თუ როგორ გაუძლებს მათი ძალისხმევა ხვატარის შემოტევას, ოქტომბრის ბოლოს გამოჩნდება.

გადაგვარება?!

„პირზე მომდგარსა სიტყვასა“... ვინ როგორ დაასრულებთ მამა-პაპათა მიერ საუკუნეებიდან ნააადერძევ ამ სიბრძნეს? თაობა, რომელიც წარსულს ეფერება, ტრადიციისამებრ გააგრძელებს...„განა სუყველას თქმა უნდა?!“

თქმა კი არა, ბევრი სიტყვის გააზრებაც საშინელებაა. რატომ? წმიდა იოანე ოქროპირის შეგონება გავიხსენოთ: „...არაფერი ისე არ შეურაცხყოფს ღმერთს, როგორც ბილწსიტყვაობა“...

არადა, დღეს, ბილწსიტყვაობა მეტყველებისას წესად იქცა. ბნელეთის მოციქულებმა კი, ადამიანები ისე გადააგვარეს, რომ საკუთარ დედასაც აგინებენ, არადა, როგორ გვაფრთხილებს „იგავნი სოლომონისა:“ „დედ-მამის მაგინებელს უკუნეთ ღამეში ჩაუქრება ლამპარი,“ „მეორე რჯულში“ კი ვკითხულობთ: „წყეულიმც იყოს დედ-მამის მაგინებელი.“

ვინ და რამ მიმიყვანა ამ წერილის დაწერის სურვილამდე?

ამასწინათ მამა ვახტანგის (თოხაძე) ინიციატივით ოზურგეთში, წიგნის „მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“ –ავტორი ლევან ბებურიშვილი გვსტუმრობდა.

სათაური ხომ თავისთავად იწვევდა ინტერესს, ავტორის ნახვამ კი...გამაოცა და გამახარა!–მადლობა უფალს, რომ საქართველოს ისევ ჰყავს ასე საღად, შორს გამიზნულად მოაზროვნე ახალგაზრდები, ასაკით –23 წლის, გაგებით, მიხვედრილობით, თითქოს, დაბრძენებული.

წიგნის რეცენზიას არ ვაპირებ, რადგან, იგი, თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა წაიკითხოს, გაიაზროს, დაფიქრდეს და, მაშინ, თავისთავად გაჩნდება კითხვა; კითხვა სინანულით და ტკივილით სავსე: ასე როგორ გადავგვარდით ?!

წმინდა ილია მართლის შეგონებამ: „ერი თავისი გმირებისა და წმინდანების მაგალითით უნდა სულდგმულობდეს, თუ მართლა ერთობა სურს“... წერას ატანილი „პოეტ-მწერალი“ გამახსენა!

ეროვნება –თავად სიტყვა –პასპორტშიაც გაგვიუქმა საკაშვილმა და მისმა გუნდმა. ლაშა ბუღაძემ კი, თავის მოთხრობაში „პირველი რუსი,“ შეურაცხყო წმიდა თამარ მეფე და სრულიად საქართველო!

რა ვქენით?–დავგმეთ?–მწერლის სახელი დავუმკვიდრეთ და იგი დღესაც ცისფერი ეკრანიდან რჩევადარიგებებსაც ნამდვილი მწერალივით გვაძლევს!

როგორ შემოვიდა ქართულ მწერლობაში ზაზა ბურჭულაძე?–დედების შეურაცხყოფით, დიახ, საკუთარი დედის. საღად მოაზროვნე ადამიანი ზიზღის გარეშე ვერ წაიკითხავს მის მოთხრობას „წერილი დედას.“ არ იფიქროთ, ეს წერილი მშობლიური დედის სიყვარულით იყოს სავსე, არა, აქ გარყვნილი კაცის სიხარულია, “... შენგან არ გამიყვია, დე, ჯერ-ჯერობით სარეცელი.“ და, სინდისისაგან დაცლილი კაცი, დროს ელოდება („ეგეც დროის ამბავია),“ რომ ზნედაცემულობის უმაღლეს საფეხურზე ავიდეს!

კიდევ ვისი „მარგალიტებით მდიდრდება“ დღევანდელი ქართული „მწერლობა?“–ირაკლი ჩარკვიანის, ერეკლე დეისაძის, პაატა შამუგიას, ზაზა კოშკაძის, შოთა იოთამიშვილის (ფსევდონიმი –დიანა ვაჩნაძე), ჯაბა ზარქუას...

თითოეულის სიტყვაში დემონია ჩასახლებული, გველის სისინი და ეშმას ხარხარი ისმის...

როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს „ბილწსიტყვაობას... გარყვნილებამდე მივყავართ“...

ხომ არიან ეს „პოეტ-მწერლები“ სულით და ხორცით გარყვნილები? მაგრამ მათაც ხომ ჰყავთ დამხმარეები, რომლებიც აფინანსებენ, გამოსცემენ უხამსი გრძნობებით გაჟღენთილ წიგნებს. მათ, მართლაც დიდი დამხმარე ჰყავთ, ბაკურ სულაკაურის სახით. მისმა გამომცემლობამ ხომ, „წლის 15 საუკეთესო მოთხრობაში“ შეიტანა ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობა,“ მეტიც, ცალკე წიგნადაც გამოსცა!

გარყვნილება, ბოროტება, ეშმაკისეული ზრახვების გათავისებაა თითოეულის გულის ძგერა და ნაზრევი. ზაზა კოშკაძის ერთ „შედევრს“ შემოგთავაზებთ:

რა საჭიროა ზამთარი,
თუ ქუჩაში მათხოვარი
არ გაიყინა.
რა საჭიროა წვიმა,
თუ სველ ტრასაზე
მანქანა არ მოსრიალდა
და პატარა ბავშვი არ გაიტანა.
რა საჭიროა თოვლი,
თუ მთებში ზვავი არ ჩამოწვება
და ორიოდ სოფელს
არ ჩაიყოლებს.
რა საჭიროა საბავშვო ბაღი,
თუ მას არავინ არ ააფეთქებს...

როგორი კოშკაძე დავინახეთ ამ სტრიქონებში? –დაუნდობელი, ბოროტი, მკვლელი! დიახ, მან სასიკვდილოდ გასწირა დიდი და პატარა, ბავშვებს საბავშვო ბაღები აუფეთქა და ღმერთის ნაბოძები სიცოცხლე წაართვა...

აღარ გავაგრძელებ ასეთ საზიზღრობაზე საუბარს...

ახლა ლევან ბებურიშვილს მივმართავ: თქვენ, ქართულ, ტრადიციულ ოჯახში ხართ გაზრდილი. მადლობა უფალს, ასეთი არსებობ, მადლობა მშობლებს, რომ ასეთი გაგზარდეს?!

წერილს ალენ დალესის ნაზრევით დავამთავრებ: „ჩვენ ყველანაირად მივემხრობით და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვანთ, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრებენ და დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ სექსის, ძალადობის, ღალატის კურს –ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეოს“...

ნუთუ ასე შეგნებულად ერის გაუკუღმართებისაგან გადამთიელთა სწრაფვამ არ უნდა დაგავფიქროს, ნუთუ ასეც უნდა გადავგვარდეთ?!

ეთერ ქადეიშვილი.

მინაწერი: მინდა ლევან ბებურიშვილის წიგნის „მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“ გამოცემისთვის მადლობა ვუთხრა რედაქტორს, ქალბატონ რუსუდან ბურჯანაძეს და გამომცემლობა „მერიდიანს,“ რომელიც, პირადად, მე, დიდ დახმარებას მიწევს წიგნის გამოცემეში.

ლევან ბებურიშვილის წიგნმა სურვილი გამიჩინა: ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, ერთმანეთს შევხვდეთ ღმერთის მსახურნი, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები, ახალგაზრდები, საზოგადოება –„თეორი მანდილის“ ქალები და მოვაწყოთ საჯარო განხილვა „ვაი პოეტ-მწერალთა შემოქმედებისა“ და ლევან ბებურიშვილის ასეთი საჭირბოროტო წიგნისა.

ე.ქ.

ღირშესანიშნავი ერთი დღე

კარგახანია თითოეულ ჩვენგანს სურვილი ჰქონდა მოსალოცად წავსულიყავით რაჭაში. ვიცოდით, რომ საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს სანახაობრივად ბევრი რამ ექნებოდა დაუვიწყარი. მაგრამ მაინც ნიკორწმინდის ხილვა იყო ჩვენი ოცნება და ეს, დიდი გალაკტიონის ცნობილი ლექსის გამოც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძის ხელშეწყობით, გასულ კვირას მომლოცველთა 20-კაციანი ჯგუფი რაჭაში გავემგზავრეთ. ჩვენთან იყვნენ დეკანოზი ბასილი (კვირჩილაძე) და მამა ლუკა (ბაკურაძე).

აქედან ადრიანად გავედით. წინ ლამაზი გზა, კიდევ უფრო ლამაზი ნაქერალას უღელტეხილი. პირველად შაორის ტბასთან შევჩერდით და მისი ტყიანი სანაპიროები დავათვალიერეთ. შემდეგ ნიკორწმინდამდე ავედით, სადაც გულიანად მოვილოცეთ, მოკრძალებით შევდგით ფეხი ბარაკონის მამათა მონასტერში, რომელსაც ჩვენი ლოცვა-ვედრება მივაგეთ, სიყვარული და მოფერება არც წმიდა გიორგის ტაძრისთვის (ონის რაიონი, სოფ. სორი) დაგვიკლია. თვალი გადავავლეთ კურორტ უწერასაც.

უკან დაბრუნებისას, ამბროლაურის ღვინის ქარხნის დათვალიერება მოვისურვეთ. ღირსეული მასპინძლობა გაგვიწია საწარმოს ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა ელგუჯა მურუსიძემ. როცა ჩვენი ოზურგეთლობა გაიგო, სიამოვნებით გაიხსენა ის წლები, რომელიც ლაითურში გაუტარებია. ახალკურსდამთავრებული აგრონომი ლაითურის მაშინდელ საბჭოთა მეურეობაში გაუნაწილებიათ სამუშაოდ. თქვა, რომ მეურნეობის დირექტორები ვახტანგ ჭეიშვილი და ქიშვარდი გოგიბერიძე, რომლებთანაც მას მოუწია მუშაობა, შეუდარებელი პიროვნებები იყვნენ, რომ მათგან ბევრი რამ ისწავლა.

ეს სიტყვები ყველას გაგვიხარდა და მოლოცვის დიდ მადლს შევმატა.

ნინო ბასილაშვილი,
ოზურგეთის საზოგადოება „მოწყალე სამარიტელის“
კოორდინატორი

ვუილოცავთ!

მეიაბ ვასაძეს და ხათუნა გოგუაძეს მესამე შვილის, ღაზაიეს დაბადებას და ვუსურვებთ სამშობლოსათვის ღირსეული ვაჟიშვილი გაზრდიდეთ.

ოზურგეთის საჩოგბურთო კლუბი;

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია.

ტურნირი „მოდერნის თასზე“ აგვისტოს შუა რიცხვებში გაიმართება

ამჯერად „მოდერნის თასზე,“ რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე ჩოგბურთელმა. სავარაუდოდ, ამ ტურნირში 20-მდე ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

რაც შეეხება მოსწავლეთა ტურნირს, იგი საინტერესოდ წარიმართა და ვაჟებში ფინალში ზურაბ ქავთარაძე (№2 სკოლა) და ირაკლი ქუტიძე (№4 სკოლა) შეხვდა ერთმანეთს. ორ სეტში (6:2, 6:4) გაიმარჯვა ქავთარაძემ. გოგონებში კი ანი მუჯირი (№4 სკოლა) და ანი მიქატაძე (№1 სკოლა) შეხვდნენ ერთმანეთს. აქაც ორ სეტში (6:1, 6:4) გაიმარჯვა მუჯირმა.

როგორც ვწერდით, მალე კიდევ ერთი ტურნირი გაიმართება ჩოგბურთში,

როსტომ აბაშიძის ტურნირზე

26-28 ივლისს, ქ. ბათუმში ჩატარდა როსტომ აბაშიძის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის მოსწავლეთა ნაკრებების წევრები და საქართველოს რეგიონების მოჭიდავეები, სულ –180 მონაწილე.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული და გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებით.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოჭიდავეები ტრადიციულად კარგად გამოვიდნენ ამ ტურნირზე და შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს:

I ადგილი: 26 კგ. წ.კ. –ვანო თოხაძე (მწვ. დავით მელუა); 32 კგ. ანზორ ხურციძე (ალ. ბოლქვაძე, ლიხაურის ფილიალი).

II ადგილი: 47, 59, 85 კგ. რომან ლომაძე, ვაჟა გოთუა, საბა ცეცხლაძე (ალ. ბოლქვაძე);

III ადგილი: 29 კგ. დავით შავაძე (გურამ მაჭარაშვილი); 42 კგ. გიორგი ჩხაიძე (ძმები ზურაბიანები); 59, 73 კგ. გია გიორგაძე, ავთო ძირკვაძე (გურამ მაჭარაშვილი); 85 კგ. რობიკო ესაძე (ალ. ბოლქვაძე).

ეკა რუსიეშვილი

ტკივილით სავსე ერთი წელი გავიდა იმ ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, რაც ჩვენთან აღარა ხარ ჩემო დაიკო. შენ, ხომ ყველაზე პატარა იყავი დედმამიშვილებში. ჩვენი პატარა ეკა, კეთილი და ზრდილობიანი, ყველასგან გამორჩეული. 30 წლის წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო ტკივილი და მონატრება. რატომ? რატომ დაგვტოვე ასე გულდამწვარი შენი დედმამიშვილები. შენ ხომ არ გიყვარდა ჩვენს თვალებზე ცრემლის დანახვა, როგორ უფრთხილდებოდი დედას. არ გიყვარდა მოწყენილს რომ ხედავდი. ახლა კი ცრემლი არ შრება მის თვალებზე. ცრემლებად იღვრება მამაშენი სახელის ხსენებაზე ეკუ. შენი შვილი ვაკო, ვერ იჯერებს შენს არყოფნას, იმას, რომ დედა აღარ ყავს გვერდით. მას სიგიჟემდე უყვარდი, როგორ გეფერებოდა. როგორ ნატრობდი მის დავაჟკაცებას, ცდილობდი კარგი აღზრდა მიგეცა მისთვის. რამდენი ბედნიერი დღეები გველოდა წინ, ჩვენი შვილების ბედნიერებით. ოთხნი ვიყავით და ერთად ყოფნა ჩვენი ნამრავლით სახლში, ნამდვილი დღესასწაული იყო. ახლა კი...

უფალი მოგვცემს იმის ძალას შენს დედმამიშვილებს, რომ შენი შვილი ისეთი გავზარდოთ, შენ რომ გინდოდა და გიხაროდა დაიკო. შენ კარგი დედა, კარგი შვილი, მეუღლე, რძალი, მეგობარი და ყველაზე მაგარი დედმამიშვილი იყავი.

არაფრის არ შეგეშინდეს, არასოდეს მიგატოვებ, მუდამ შენთან ვიქნები და ვილოცებ შენი ლამაზი სულის სასუფეველზე. მე ხომ შენთან ერთად ჩემი სული, გული და ლამაზი ბავშვობა დავასაფლავე ჩემო დაიკო. გკოცნი ბევრს, რაც არასოდეს მიკოცნია შენთვის. გეფერები ფუმფულა ხელებზე და ტკბილ ძილს გისურვებ. შეხვედრამდე.

შენი საყვარელი დაიკო
რუსიკო

აკაკი გობრონიძის მოგონება



აკაკი გობრონიძეს 1950 წლის შემოდგომიდან დავუახლოვდი. პირადად ის გურიის გულში, ოზურგეთში, ამ მხარის თავკაცის ვასილ სიხარულიძის კაბინეტში.

ჩემი მასპინძლები მეცნიერების დამფასებლები და თვითონაც მკვლევარები ბრძანდებოდნენ და დიდადაც დაინტერესდნენ შუა გურიას ჩემი მაშინდელი ჩასვლის მიზნებით.

მაშინ უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი გახლდით (ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილი) და გურიის 1841 წლის აჯანყებაზე ისტორიულ გადმოცემებს ვკრებდი.

ზემო გურიის დიდი ნაწილი უკვე მოვლილი მქონდა და ვიცოდი, თუ რა საინტერესო ჩვენებებს ინახავდა ხალხი.

მასპინძლებს მოეწონათ ჩემი მუშაობა და დახმარება აღმითქვეს.

მუშაობა შუა გურიას რამდენიმე თვე გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში ბატონებს ვასილსა და აკაკისაც რამდენჯერმე შევხვდი.

1953 წლის 19 მაისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში ქართველ მეცნიერთა დიდი თავყრილობა იყო. იმ დღეს შედგა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის საჯარო დაცვა (სხდომის თავმჯდომარე ნ. ბერძენიშვილი).

სხდომას ა. გობრონიძეც ესწრებოდა და გულითადად მომილოცა წარმატებაც.

იმავ წლის აგვისტოს ბოლოს ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტის (ახლა უნივერსიტეტი) დირექციამ ისევ მიმიწვია საქართველოს ისტორიის კურსის წასაკითხად.

სექტემბრის დამდეგს ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის კარებიც შევაღე და სტუდენტებს შორის აკაკი გობრონიძის უმცროსი ძმა (შოთა) აღმოჩნდა.

შოთა კარგი სტუდენტი გახლდათ და საშუალო განათლების ხაზით შუა გურიას წარუვალი კვალი დაამჩნია (წლების განმავლობაში უნარიანად უძღვებოდა მერიის საშუალო სკოლას).

აკაკი ხშირად მეკითხებოდა ძმაზე და როდესაც კარგად ვახასიათებდი, ბუნებრივია კმაყოფილი გახლდათ.

კაკი გობრონიძის ბიოგრაფიას მუდამ დაამშვენებს ჩოხატაურის თავკაცობისას იქაურ მეცნიერთა ფართო წრის მიწვევა და მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება.

ამ დიდი სტუმრობის მონაწილე მეც გახლდით და მაშინვე ნათელი გახდა ჩემთვის, თუ რა დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი ამ შეხვედრით.

და მხოლოდ ამ ერთი დიდებული ინიციატივით როდი შემოფარგლულა ეს ნათელი გონების ხელმძღვანელი.

აკაკი გობრონიძის თავკაცობით ჩოხატაურში ბევრმა რესპუბლიკური ხასიათის სხვა ინიციატივებმა აიდგეს ფეხი.

მის მრავალ კარგ თვისებათა შორის სამაგალითო ახალგაზრდებთან ურთიერთობაა.

ჩოხატაურში მისვლისთანავე ახალი ხელმძღვანელი გულმოდგინედ ეძებდა ისეთ ახალგაზრდას, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა რაიონის ახალგაზრდობას და სასახელო საქმეებისთვის დარაზმავდა მას.

ასეთი პიროვნებაც მალე გამოჩნდა ჩოხატაურის ახალგაზრდულ აქტივში.

ეს პერსპექტიული ახალგაზრდა აგრონომი რევაზ თედორაძე გახლდათ,

გონიერმა ხელმძღვანელმა ეს უნარიანი ახალგაზრდა სამაგალითოდ ამოიყენა გვერდით და ისეთი მიზანმიმართული მუშაობა გაჩაღდა, რაც ყველაფერს ახარებდა.

ვინ უწყის, რა სიმაღლეებს მაიღწევდა რაიონი, რომ ზემოდან მიღებული უაზრო გადაწყვეტილებით, ჩოხატაურის რაიონი არ გაეუქმებიათ.

აქვე დაესვა წერტილი ა. გობრონიძის თავკაცობას ზემო გურიაში.

ის მაინც მხნედ იღვწოდა შუა გურიას, მაგრამ უკვე არა როგორც პირველი პირი.

ა. გობრონიძის, როგორც მოღვაწის ღირსებას ისიც შეადგენს, რომ თავისი ხელით დაწერა მემუარები, რომელიც იმ დროინდელ ფაქტს ჰფენს ნათელს.

ეს მცირე და სახელდახელო მოგონება მოღვაწის მხრიდან ზოგიერთ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, სხვათა მოგონებანი სხვა საკითხებსაც გადაწვდებიან და თანდათან პიროვნების პორტრეტიც შეიქმნება.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

ნანა მამულაიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზაქარიაძეების ოჯახს უახლოესი მეგობრის და თანაკლასელის **ომარ ზაქარიაძის** გარდაცვალების გამო.

გუგული ჩხაიძე თანაუგრძნობს მეუღლე დარიკო წულაძეს, შვილებს ლევან და მაკა ზაქარიაძეებს **ომარ ზაქარიაძის** გარდაცვალების გამო.

იყიდება

ახალი ხის სახლი (დასაშლელია) ალუმინის სახურავით. 6 ოთახი, ფართობი 110 კვ. მ.
ფასი შეთანხმებით. ტელ: (591) 91 77 16.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru